თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 12

30 ნოემბერი 2022 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 35 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **თენგიზი მთვარელიშვილი;**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	**მამუკა ბურდიაშვილი;**
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**მიხეილ დაღუნდარიძე;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ლევან ბერძენაშვილი;**
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**ზურაბ ლილუაშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**გიორგი ხაჭაპურიძე;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**თინათინ ხანჯალიაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**
საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე	**ალექსი ძულიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილეები: **თამარ ხატიაშვილი, ოთარ ესიტაშვილი, ზურაბ მოსახლიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზაზა ტატულიშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილეები: **ბაადურ რევაზიშვილი, აბრამ მახარიაშვილი, გელა ჭვრიტიძე, გიგი გიგიტელაშვილი, ეთერი გურგენაშვილი.**

საკრებულოს წევრები: ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, გივი ლაფაური, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, ბაადურ გულიაშვილი, ნინო ომანიძე, ნატალია ბახსოლიანი, ზვიადი ხანჯალიაშვილი, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზ ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი, ლევან კოჭლოშვილი, მარიამ ლილუშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ნიკოლოზ მეტრეველი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ფიქრია ყუშიტაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **თამარ ზაზანაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის უფროსი **თედო ხოსროშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **მაია დათუნაშვილი;**

ა(ა)იპ თელავის „კულტურის ცენტრის" დირექტორი **ზაქარია რაზმაძე**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები;

მოქალაქე მაკა მოსიაშვილი.

სხდომის გახსნამდე საკრებულოს წევრმა **თ.ხანჯალიაშვილმა** მოითხოვა განცხადების გაკეთების უფლება, რაზეც მიიღო თანხმობა. მან აღნიშნა, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს გენდერული ძალადობის წინააღმდეგ კამპანია, რასაც უერთდება თელავის მუნიციპალიტეტიც და 21-ე საუკუნეში არ უნდა არსებობდეს გენდერული ძალადობა, ამისთვის თითოეულმა თანამდებობის პირმა და საკრებულოს წევრმა უნდა აწარმოოს საინფორმაციო კამპანია.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

14.00სთ-დან- 14.10 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N05 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შექმნა და საკრებულოს ფრაქციების და უფრაქციო წევრების კომისიებში განაწილების პროპორციული კვოტების დადგენა, კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრა“ ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
14.10სთ-დან- 14.20 სთ-მდე

3. ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
14.20სთ-დან- 14.30 სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N3 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
14.30სთ-დან- 14.40 სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი

14.40სთ-დან- 15.00 სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
15.00სთ-დან- 15.10 სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნათია წიგნაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
15.10სთ-დან- 15.20 სთ-მდე

8. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

15.20სთ-დან- 15.30 სთ-მდე

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა.

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
14.00სთ-დან- 14.10 სთ-მდე

გადაწყვიტეს: 1. მიმდინარეწლის 02 ნოემბრიდან თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარედ ალექსი ძულიაშვილის არჩევა მიღებულ იქნეს ცნობად.

2. მიმდინარე წლის 02 ნოემბრიდან თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილედ ბაადური რევაზიშვილის არჩევა მიღებულ იქნეს ცნობად.

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N05 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შექმნა და საკრებულოს ფრაქციების და უფრაქციო წევრების კომისიებში განაწილების პროპორციული კვოტების დადგენა, კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრა“ ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
14.10სთ-დან- 14.20 სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **31 (ოცდათერთმეტი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 04(ოთხი) წევრმა: ა. ძულიაშვილმა, ნ.ომანიძემ, ა.მახარიაშვილმა, ა.კუპატაძემ.

3.მოისმინეს: ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
14.20სთ-დან- 14.30 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ბ.რევაზიშვილმა** დასვა კითხვა 2023 წლის ბიუჯეტის საჯარო განხილვასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში **,,თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“** - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2022 წლის 21 დეკემბრამდე.

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **,,თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“** - დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - 2023 წლის 01 იანვრამდე.

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **33 (ოცდაცამეტი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 02(ორი) წევრმა: ზ.ხანჯალიაშვილმა, ნ.ომანიძემ.

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N3 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
14.30სთ-დან- 14.40 სთ-მდე

გადაწყვიტეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N3 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე** - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2022 წლის 21 დეკემბრამდე.

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N3 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე** - დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - 2023 წლის 01 იანვრამდე.

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **31 (ოცდათერთმეტი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 04(ოთხი) წევრმა: ზ.ხანჯალიაშვილმა, ნ.ომანიძემ, ნ.ბახსოლიანმა, ა.მახარიაშვილმა,

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი
14.40სთ-დან- 15.00 სთ-მდე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის განხილვის ეტაპზე გამოითქვა მოსაზრება, რომ დასუფთავების ღონისძიებების გაუმჯობესებისათვის გამოინახოს თანხები სპეცტექნიკის შესაძენად, აღნიშნულს დაეთანხმა შესაბამისი კომისიაც და საკრებულოს ბიურო გამოიყოს თანხა. აგრეთვე მიღებულია სასამართლოს გადაწყვეტილება რის საფუძველზეც ბიუჯეტში უნდა გამოიყოს თანხა მერიიდან განთავისუფლებული თანამშომლის კომპენსაციისათვის.

აზრი გამოთქვეს: **გ.გიგიტელაშვილმა** ისაუბრა საახალწლო განათებების შესყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებზე და აღნიშნა, რომ ტენდერი უკვე გამოცხადებულია, წარმოდგენილი პროექტით კიდევ ვამატებთ და ჯამში ვიღებთ საკმაოდ დიდ თანხებს საახალწლო განათებებისათვის.

ზ.რევაზიშვილმა კი აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ხარჯავს საახალწლო განათებისათვის დიდ თანხებს. ყოველ წელს გვიწევს ამ თემაზე საუბარი, ჯობია სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხის დაფინანსებისათვის გამოვყოთ თანხები. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებისთვის

გაშიფრული უნდა იყოს თუ კონკრეტულად რის შესყიდვას აპირებს მუნიციპალიტეტი.

საკრებულოს წევრების შეკითხვებს საახალწლო განათებების შესყიდვასთან დაკავშირებით უპასუხა ააიპ „კულტურის ცენტრი"-ს დირექტორმა **ზ.რაზმაძემ,** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს დიდი ხანია არ შეუძენია საკმაო რაოდენობის განათებები. რაც გაგვაჩნია უმეტესობა გამოსულია მწყობრიდან, წელს კი იგეგმება დამატებით ქუჩების განათება.

გ.გიგიტელაშვილმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტში საახალწლოდ დაიხარჯება ნახევარ მილიონამდე, რაც ყოვლად მიუღებელია, რადგან მოსახლეობა უკიდურესად გაჭირვებულია სოციალურად, აგრეთვე საინტერესოა თუ რა ღონისძიებები ჩატარდება სოფლებში.

<u>დაადგინეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **22 (ოცდაორი)** წევრმა.

წინააღმდეგი 10 (ათი) წევრი: ა.ძულიაშვილი, ბ.რევაზიშვილი, გ.გიგიტელაშვილი, ბ.გულიაშვილი, რ.იმერლიშვილი, ე.გურგენაშვილი, ა.კუპატაძე, ზ.ხანჯალიაშვილი, რ.ჩეკურიშვილი, გ.ჭვრიტიძე.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 03(სამი) წევრმა: ნ.ომანიძემ, ნ.ბახსოლიანმა, ა.მახარიაშვილმა.

<u>6.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
15.00სთ-დან- 15.10 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ბ.გულიაშვილმა** დასვა კითხვა სოფელ ართანაში არსებულ ამბულატორიის სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით.

დასმულ კითხვებზე განმარტებები გააკეთა **ნ.მეტრეველმა.**

წარმოდგენილი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის მიზანშეწონილობაზე ისაუბრეს საკრებულოს წევრებმა: **ლ.ბერძენაშვილმა, ა.შათირიშვილმა, თ.ხანჯალიაშვილმა.**

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **26 (ოცდაექვსი)** წევრმა.

წინააღმდეგი 02(ორი)წევრი:, ბ.გულიაშვილი, რ.იმერლიშვილი.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 07(შვიდი) წევრმა: გ.გიგიტელაშვილმა, ე.გურგენაშვილმა, ნ.ომანიძემ, ზ.ხანჯალიაშვილმა, ა.კუპატაძემ. რ.ჩეკურიშვილმა, გ.ჭვრიტიძემ.

7.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნათია წიგნაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
15.10სთ-დან- 15.20 სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **28 (ოცდარვა)** წევრმა.

ბ.გულიაშვილი, ი.კევლიშვილი.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 07(შვიდი) წევრმა: ბ.რევაზიშვილმა, ე.გურგენაშვილმა, ზ.ხანჯალიაშვილმა, ნ.ომანიძემ, რ.ჩეკურიშვილმა, გ.ჭვრიტიძემ, ა.კუპატაძემ.

8.მოისმინეს: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

15.20სთ-დან- 15.30 სთ-მდე

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილია საკრებულოს სრული შემადგენლობის 1/5-ის მოთხოვნით საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულია საკრებულოს წევრის ლევან კოჭლოშვილის კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა დასახელებული არ ყოფილა.

გამოცხადდა შესვენება და სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიას დაევალა ფარული კენჭიყრის ორგანიზება.

შესვენების შემდეგ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრები სხდომას აღარ დასწრებიან და კენჭისყრაშიც არ მიუღიათ მონაწილეობა.

სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიამ უზრუნველყო ფარული კენჭისყრის ჩატარება და შედეგების განხილვა (ოქმი თან ერთვის).

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია საკრებულოს წევრი **ლევან კოჭლოშვილი.**

(**მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **21 (ოცდაერთი)** წევრმა).

საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზი მთვარელიშვილი**